Tel: 0322500222
www.formula.ge
0177 თბილისი, საქართველო ვაჟა ფშაველას გამზირი, 45

#642

05 მაისი, 2025 წელი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავჯდომარეს
ბატონ კახი ბექაურს,
მის.: ქ. თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ/ბოჭორმის ქ. 50/18

შპს „ფორმულას“ დირექტორის,
ზურაბ გუმბარიძის
მის.: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 45

მ ი მ ა რ თ ვ ა

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების და ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით წარმოგიდგენთ შემდეგ ინფორმაციას:

1. საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია ,,ფორმულა''-ს სამაუწყებლო ეთერში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა საინფორმაციო, საინფორმაციო-შემეცნებით, პოლიტიკურ თოქ-შოუებსა და გასართობ გადაცემებს.

2. ტელეკომპანია ,,ფორმულა''-ს მიერ დაცულია მაუწყებლობის შესახებ კანონის მოთხოვნები;

3. ტელეკომპანია ,,ფორმულა''-ს დაფინანსების წყაროს საანგარიშო წლის განმავლობაში შეადგენდა:

- ლიზინგი;
- სესხი;
- ტელეარხის ეთერში განთავსებული სარეკლამო თანხები;

4. 2024 წლის განმავლობაში ,,ფორმულა''-ს თვითრეგულირების ორგანოში შემოსულია ერთი საჩივარი;

შპს ,,ენ პროდუქტის'' (ს/კ 402072145) საჩივარი

2024 წლის 15 თებერვალს ტელეკომპანია ,,ფორმულას'' საპასუხო ცნობების გამოქვეყნების თაობაზე საჩივრით შპს ,,ენ პროდუქტის'' დირექტორმა, ნინი გაგნიძემ მიმართა. საჩივარი შეეხებოდა ტელეკომპანიის ეთერში, გადაცემა ,,შაბათის ფორმულაში'' 2024 წლის 10 თებერვალს გასულ სიუჟეტს.

<u>**სიუჟეტის შინაარსი:**</u> სადავოდ გამხდარი გადაცემის მონაკვეთს წინ უძღვოდა შესავალი, წამყვანების, თამარ ბაღაშვილისა და დავით ქაშიაშვილის მიერ, სადაც ისინი სიუჟეტის ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხის შესახებ საუბრობდნენ. კერძოდ, წამყვანთა თქმით, იმ საკვები პროდუქტების შემადგენლობაში, რომლითაც გორის ბაგა-ბაღები მარაგდება, აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერებები. თამარ ბაღაშვილის თქმით, სიუჟეტის მიზანია გაირკვეს, თუ როგორ აღმოჩნდა აღნიშნული ნივთიერებები საკვებ პროდუქტებში და იყო თუ არა აღნიშნულის თაობაზე

ინფორმირებული გორის სკოლამდელ აღსაზრდელთა სააგენტოს ხელმძღვანელობა. დავით ქაშიაშვილი აგრძელებს თემაზე საუბარს და ამბობს, რომ სააგენტოს თანამშრომლებმა თავდაპირველად უარყვეს, შემდგომში კი, დაადასტურეს, რომ საკვები ნამდვილად დაბინძურებული იყო. თავად სიუჟეტის სახელწოდებაა ,,საშიში საკვები ბავშვებს''. უშუალოდ სიუჟეტი იწყება გორის მე-6 და მე-12 ბაგა-ბაღების დირექტორების ჩანაწერებით. მაყურებელს ექმნება განცდა, რომ დირექტორებმა ,,ფორმულას'' ჟურნალისტების მეშვეობით შეიტყვეს, რომ ბაღებისათვის საკვები პროდუქტების მომწოდებელი კომპანიის, შპს ,,ენ პროდუქტის'' საექსპერტო დასკვნაში შესაძლოა აღმოჩენილი იყო სტაფილოკოკი, რკინა და სხვა მძიმე მეტალები. ჟურნალისტს წარმოდგენილი აქვს სატენდერო დოკუმენტაციიდან აღებული საექსპერტო დასკვნა, რომელსაც სიუჟეტის განმავლობაში ეყრდნობა და იყენებს რესპონდენტებთან კომუნიკაციაში. რესპონდენტებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ ეს დასკვნა უნდა შეემოწმებინა სააგენტოს და დარღვევების არსებობის შემთხვევაში, არ დაეშვა ამ პროდუქტების ბაღებში მოხვედრა.

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: საჩივრის ავტორის მტკიცებით, სიუჟეტში გავრცელებული ცნობები, მათ შორის, სიუჟეტის სათაური იყო ცრუ და შეცდომაში შემყვანი, ამ განცხადებებით შეილახა კომპანიის რეპუტაცია და მას მიადგა ფინანსური ზიანი. ,,მაუწყებლობის შესახებ კანონის'' 52-ე მუხლისა და ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' მე-13 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განმცხადებელი ითხოვდა ფაქტობრივი შეცდომების შესწორებას თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით სათანადო საეთერო დროს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებული იყო: „მაუწყებლობის შესახებ“ 52-ე და 54-ე მუხლი მაუწყებელთა ქცების კოდექსის მე-12, მე-13, მე-14 და მე-15 მუხლები.

<u>**გადაწყვეტილება:**</u> ტელეკომპანია „ფორმულას“ თვითრეგულირების ორგანომ, პირველ რიგში, განიხილა საჩივრის დასაშვებობის საკითხი, კერძოდ, ვინაიდან მიმართვა შეეხებოდა ტელეკომპანია ,,ფორმულას'' ეთერით გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს და განმცხადებელი მოითხოვდა სიუჟეტის ინტერნეტ სივრციდან ამოღებასა და ხელახალი სიუჟეტის მომზადებას, კომისიამ იხელმძღვანელა ,,მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის'' 52-ე და 59-ე პრიმა მუხლებით (ფაქტის ჯეროვანი სიზუსტე და პასუხის უფლება) და საჩივარი ცნო დასაშვებად.

მსჯელობის ეტაპზე, კომისიამ გამოიკვლია რამდენად იყო დაცული ეთიკური ჟურნალისტიკის სტანდარტები ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'', ,,მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის'' და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის სტანდარტით. ამისათვის შემოწმდა სამი ძირითადი კომპონენტი:
(ა) რას ეყრდნობოდა ჟურნალისტი და იდენტიფიცირებადია თუ არა მისი წყარო სიუჟეტში?
(ბ) გადამოწმდა თუ არა ინფორმაცია განცხადებების ადრესატთან? ჩანს თუ არა ადრესატის პოზიცია სიუჟეტში?
(გ) ჩანს თუ არა სიუჟეტში ადრესატის პოზიცია იმ კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელთა თაობაზეც მოგვმართა განმცხადებელმა?

სიუჟეტიდანვე ჩანდა, რომ ჟურნალისტი მასალის მომზადებისას დაეყრდნო წყაროების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. დოკუმენტურ მასალად კი საჯაროდ ხელმისაწვდომი საექსპერტო დასკვნა გამოიყენა, რომელიც სატენდერტო დოკუმენტაციასთან ერთად იყო განთავსებული. ეს დოკუმენტები თავად საჩივრის ავტორის მხრიდან იქნა წარდგენილი ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნებისათვის. აღნიშნულ საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი იყო ინფორმაცია კონკრეტული პროდუქტების სხვადასხვა მავნე ნივთიერებების შემცველობის თაობაზე, რომელიც, საჩივრის ავტორის მტკიცებით, ჯდებოდა კანონით დადგენილ დასაშვებობის ზღვარში.

ჟურნალისტმა უზრუნველყო, რომ წყაროებმა საჯაროდ ისაუბრეს ტელეეთერით მათი დასკვნების თაობაზე. წყაროები დივერსიფიცირებული იყო და მათ სხვადასხვა კუთხით შეაფასეს კონკრეტული

საექსპერტო დასკვნა. კერძოდ, სამედიცინო სფეროს ექსპერტმა გამოთქვა მოსაზრება ბავშვებისათვის პოტენციურ ზიანზე, რომელიც პროდუქტებში დასკვნის მიხედვით აღმოჩენილმა ნივთიერებებმა გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება გამოიწვიოს. იურისტებმა ისაუბრეს ტენდერის ჩატარების პროცესის კანონიერებაზე, ხოლო აქტივისტებმა უფრო ვრცელ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში გააკრიტიკეს ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობა. სიუჟეტიდან ჩანდა, რომ ჟურნალისტის კითხვები და ჩატარებული მოქმედებები მიემართებოდა იმას, რომ გადაემოწმებინა დასმული საკითხები და სხვადასხვა პერსპეტივით მიეწოდებინა საკითხი მაყურებლამდე. ამ მიზნით, შეიკრიბა ცნობები და კითხვების დასასმელად მიმართა სხვადასხვა წყაროს, რომლებიც საუბრობენ სიუჟეტში. არაერთ დამოუკიდებელ წყაროსთან ერთად, ჟურნალისტი დაინტერესდა თავად საჩივრის ავტორის წარმომადგენლების კომენტარითაც. სწორედ აქ მიეცათ მათ საკუთარი არგუმენტების და პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა, რაც ასახულია კიდეც სიუჟეტში, კერძოდ, გადმოცემული იყო **შპს "ენ პროდუქტის" მენეჯერი რეზო გილიგაშვილი სატელეფონო საუბარიც.**

აქედან ჩანდა, რომ საჩივრის ავტორის წარმომადგენლების პოზიცია აღქმადი იყო მაყურებლისათვის. კერძოდ, დაფიქსირებული იყო, რომ განმცხადებელი კომპანიის წარმომადგენლები, ე.ი სიუჟეტში გავრცელებული ინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი ადრესატები უარყოფდნენ გამოთქმულ მოსაზრებებს, მათ შორის, იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელთა შესწორებაც მოთხოვნილი იყო შემოსული საჩივრით.

<u>**გადაწყვეტილება:**</u> ამდენად, კომისიამ არ დაადგინა „მაუწყებლობის შესახებ" საქარათველოს კანონის 52-ე და 54-ე მუხლების დარღვევა და არ დაკმაყოფილა საჩივრის ავტორის მოთხოვნები ინფორმაციის შესწორებასთან დაკავშირებით.

<u>**სააპელაციო საბჭო:**</u>

აღნიშნული გადაწყვეტილება განმცხადებლის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო საბჭოში 2024 წლის 21 მარტს. შპს ფორმულამ 2024 წლის 10 აპრილს განიხილა საკითხი სააპელაციო საბჭოს სხდომაზე, სადაც საბჭოს წევრთა მოსაზრებით გამოიკვეთა, რომ სადავო სიუჟეტი მიმართული იყო საზოგადოებრივად აქტუალური პრობლემის, ბაღის აღსაზრდელთა კვების და ბაგა-ბაღების ირგვლივ არსებული სხვა პრობლემების წარმოსაჩენად, მათ შორის, ბაღების უსაფრთხოების, უფასო კვებისა და სხვა საკითხებს. რესპონდენტთა დიდი ნაწილი კი, პოლიტიკურად აფელირებული იყო. მართალია ჟურნალისტის მიზანი შპს ,,ენ პროდუქტის'' დისკრედიტირება არ ყოფილა, სიუჟეტის საერთო კონტექსტმა და ინფორმაციის წარმოჩენის ტონმა, მათ შორის, მტკიცებით ფორმაში საუბარმა, მაყურებელს დაუტოვა ნეგატიური აღქმა კომპანიის შესახებ. ასევე, სათანადოდ არ გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ კომპანიის საქმიანობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში იყო.

იქიდან გამომდინარე, რომ მედია-საშუალება გამოთქვამდა მზაობას საპასუხო ცნობების გასავრცელებლად და მოსარჩელე მხარეს ჰქონდა სურვილი საკითხი მოკლე დროში თანამშრომლურ ატმოსფეროში გადაიჭრილიყო, საბჭოს რეკომენდაციით, მხარეები მორიგდნენ, რათა გადაეჭრათ ეს საკითხი. საბჭოს გადაწყვტილებით, მორიგებისათვის მხარეებს განესაზღვრებათ ვადა ქმედების განსახორციელებლად.

<u>საბოლოო დასკვნა:</u> შპს „ფორმულა"-ს მიერ შესრულდა სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და იმავე გადაცემაში - „შაბათის ფორმულაში" გააჟღერა შესწორება თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით.

წინამდებარე მიმართვას დანართი #1-ის სახით დაერთვება საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი საჩივარი და ტელეკომპანია „ფორმულას“ თვითრეგულირების ორგანოს მიერ 2024 წლის 13 მარტს მიღებული გადაწყვეტილება (#493), აგრეთვე, სააპელაციო საჩივარი და სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი.

რაც შეეხება აუდიტის დასკვნას, მასზე ამ მომენტში მუშაობს კომპანია და მოგაწვდით პირველივე შესაძლებლობისთანავე.

თანდართული დოკუმენტაცია:

დანართი #1 - თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შემოსული საჩივარი და თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (#493), სააპელაციო საჩივარი და სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი – (94 ფურცლად).

შპს „ფორმულა“-ს დირექტორი
ზურაბ გუმბარიძე

Formula LLC

Digitally signed by Formula LLC
Date: 2025.05.05 14:58:17 +04'00'